საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუბისწყალი

გუბისწყალი, მდინარე დას. საქართველოში, იმერეთის დაბლობზე, რიონის მარჯვ. შენაკადი (ერთვის ქ. სამტრედიასთან). სიგრძე 36 კმ, აუზის ფართ. 442 კმ^2.

წარმოიქმნება მდინარეების ყუმისა და სემის შეერთებით სოფ. დედალაურთან. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალმოვარდნა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა აგვ. და სექტ-ში. საშ. წლ. ხარჯი 16,3 მ^3/წმ. იყენებენ სარწყავად.

გ-ის ზემო დინებაში, სემის ხეობაში, ზ. დ. 235 მ-ზე არის ცარცული პერიოდის კირქვის ბრექჩიებით აგებული ბუნებრივი ხიდი.

ი. აფხაზავა